საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ტექნოპარკის მოწყობისათვის საჭირო საპროექტო მომსახურების კონკურსის საშუალებით შესყიდვის საკონკურსო კომისიის სხდომის

ოქმი № 03

ქ. თბილისი

„18 ...“ 2014 წ.

საკონკურსო კომისიის წევრები:

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე თავმჯდომარე – ი. ქაშიბაძე

კომისიის წევრები:

ავთანდილ კასრაძე

ცირა ლაშქარავა

ირმა ჭანტურიძე

გიორგი კინწურაშვილი

საკონკურსო კომისიის აპარატის წევრები: თ. კერესელიძე

დღის წესრიგი:

1. საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ საპროექტო კონკურსზე წარმოდგენილი წინადადების განხილვა.

დღის წესრიგი:

საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ტექნოპარკის მოწყობისათვის საჭირო საპროექტო მომსახურების შესყიდვის საკონკურსო წინადადებების განხილვა.

**მოისმინეს:**

საკონკურსო კომისიის წევრის ც. ლაშქარავას ინფორმაცია, რომელმაც აღნიშნა, რომ ტექნოპარკის სამშენებლო პროცესების მენეჯმენტის შემსრულებელის, შპს“ელემსი“-ს მიერ მოხდა საკონკურსო წინადადებების დეტალური განხილვა. რომელმაც საკონკურსო კომისიას რეკომენდაციის სახით წარუდგინა დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც უნდა მოხდეს წინადადებების შეფასება.

შპს“ელემსი“-ს წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით ირკვევა, რომ **„შპს“ინსტუდიო“-ს** მიერ წარმოდგენილ ფორმაში “ინფორმაცია კონკურსანტის პერსონალის ანაზღაურების შესახებ (დამატებითი სამუშაოს შემთხვევაში) საჭიროებს დაზუსტებას. კერძოდ უნდა მოხდეს დანარჩენი კადრების ანაზღაურების შესახებ ინფორმაციის მოწოდება და უნდა დაზუსტდეს „პოზიცია/კატეგორიის“სვეტი. ასევე, შპს“ინსტუდიო“-ს მიერ წარმოდგენილი რეზიუმეებიდან არ იკითხება ინფორმაცია პროექტის შესრულებისათვის ყველა კადრის შესახებ. კერძოდ, პროექტში როლების გათვალისწინებით, წარმოდგენილია მხოლოდ კონსტრუქტორის, ელექტროინჟინერის და არქიტექტორის პოზიციები.

**შპს“არტსტუდიო პროექტი“-ს** სატენდერო წინადადებაში შემოთავაზებული სამუშაოების ვადა აჭარბებს პროექტის სტრატეგიულ კალენდარულ გრაფიკის შესაბამის ვადას და შეადგენს 2 თვეს. ასევე, წარმოდგენილი რეზიუმეებიდან არ იკითხება ინფორმაცია პროექტის შესრულებისათვის საჭირო ყველა კადრის შესახებ. მოცემულია მხოლოდ მთავარი არქიტექტორის, წამყვანი არქიტექტორის, არქიტექტორის, მთავარი კონსტრუქტორის და ხარჯთაღმრიცხველის შესახებ.“ შესაბამისად, საკონკურსო წინადადების ფორმაში უნდა მოხდეს მომსახურების გაწევის პროცესში ჩართული ყველა კადრის ანაზღაურების შესახებ ინფორმაციის მოწოდება.

სატენდერო კომისიამ იმსჯელა შპს“ელემსი“-ს რეკომენდაციებზე და მიიღო გადაწყვეტილება შპს“არტსუდიო პროექტი“-მ, როგორც ყველაზე დაბალი ფასის და მისაღები წინადადების მქონე პრეტენდენტმა, დააზუსტოს ზემოაღნიშნული ინფორმაცია. კერძოდ,შემოთავაზებული სამუშაოების ვადა , რომელიც აჭარბებს პროექტის სტრატეგიულ კალენდარულ გრაფიკის შესაბამის ვადას წარმოდგენილი რეზიუმეები, ვინაიდან წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან არ იკითხება ინფორმაცია პროექტის შესრულებისათვის საჭირო ყველა კადრის შესახებ და საკონკურსო წინადადების ფორმა, რადგან არ იკითხება ინფორმაცია მომსახურების გაწევის პროცესში ჩართული ყველა კადრის ანაზღაურების შესახებ.

**დაადგინეს:**

1. შპს"არტსტუდიო პროექტი"-მ წარმოადგინოს დაზუსტებული ინფორმაცია, შემოთავაზებული სამუშაოების ვადის შესახებ, რომელიც აჭარბებს პროექტის სტრატეგიულ კალენდარულ გრაფიკის შესაბამის ვადას წარმოდგენილი რეზიუმეები, ვინაიდან წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან არ იკითხება ინფორმაცია პროექტის შესრულებისათვის საჭირო ყველა კადრის შესახებ და საკონკურსო წინადადების ფორმა, რადგან არ იკითხება ინფორმაცია მომსახურების გაწევის პროცესში ჩართული ყველა კადრის ანაზღაურების შესახებ.

2. "გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის #9 ბრძანების მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად სატენდერო კომისიის აპარატმა უზრუნველყოს სატენდერო კომისიის სხდომის ოქმის ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთვა დამსწრე კომისიის წევრების ხელმოწერისთანავე.

სხდომის თავმჯდომარე ი. ქაშიბაძე

სხდომის მდივანი: თ. კერესელიძე

**საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
საქართველოს ინოვაციების და
ტექნოლოგიების სააგენტო**

**LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW -
INNOVATION AND TECHNOLOGY AGENCY
OF GEORGIA**

№1-124

„18“ აგვისტო 2014 წ.

შპს“არტსტუდიო პროექტი“-ს

სატენდერო კომისიამ განიხილა თქვენს მიერ საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ტექნოპარკის მოწყობისათვის საჭირო საპროექტო მომსახურების კონკურსზე წარმოდგენილი წინადადება.

გთხოვთ, დაგვიზუსტოთ და წარმოადგინოთ ინფორმაცია შემოთავაზებული სამუშაოების ვადის შესახებ, რომელიც აჭარბებს პროექტის სტრატეგიულ კალენდარულ გრაფიკის შესაბამის ვადას (შესასრულებელი სამუშაოების კალენდარული გრაფიკი უნდა დასრულდეს 2014 წლის 31 დეკემბრამდე) და წარმოდგენილი რეზიუმეები, ვინაიდან წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან არ იკითხება ინფორმაცია პროექტის შესრულებისათვის საჭირო ყველა კადრის შესახებ და საკონკურსო წინადადების ფორმა, რადგან არ იკითხება ინფორმაცია მომსახურების გაწევის პროცესში ჩართული ყველა კადრის ანაზღაურების შესახებ.

პატივისცემით,

სააგენტოს თავმჯდომარე

ირაკლი ქაშიბაძე

საქართველო, თბილისი, 0108, ჭანტურიას ქ. №12

№12, Chanturia str., 0108, Tbilisi, Georgia